საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10503/01
07/10/2021

10503-01-2-202110070941

შპს „ზიმოს“

მის: ქ. ბათუმი, ხახულის ქ. N59

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი N11894 წერილით წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება შუახევის მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების მიხედვით საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდია: 24.02.31.135.608, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით 200 მეტრში მდებარეობს 2 საცხოვრებელი სახლი. საპროექტო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლები მდებარეობს 62 მეტრში და ასევე 103 მეტრში, შესაბამისად აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მაღალი გარჩევადობით საწარმოს გენ-გეგმა სადაც მოცემული იქნება დაგეგმილი საწარმოს ინფრასტრუქტურული ობიექტები;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, ტექნიკური წყლის აღება დაგეგმილია მდ. აჭარისწყლიდან, შესაბამისად განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს წყალაღების GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, ეზოს შესასვლელი და გასასვლელი აღჭურვილი იქნება მანქანების საწმენდი დანადგარით, ხოლო ჩამდინარე წყალი ჩაედინება სალექარ ავზში, შემდეგ სადრენაჟო არხის მეშვეობით მდ. აჭარისჭყალში. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს სალექარის ტექნიკური პარამეტრები და გაწმენდილი წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით ქვის სამტვრევი საწარმოს ჩრდილოეთით ფერდობზე მოეწყობა სანიაღვრე არხი, სადაც მოხდება წვიმის წყლის შეგროვება. სანიაღვრე წყლები ჩაედინება ორფაზიან სალექარ ავზში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს აღნიშნული სალექარების ტექნიკური პარამეტრები და მონაცემები, ამასთან დაგროვებული წყლის მართვის საკითხები. მდინარეში ჩაშვების შემთხვევაში, მოცემული უნდა

იყოს ჩაშვების GPS კოორდინატები და გაწმენდილი წყლის ხარისხობრივი მაჩენებლების შესახებ ინფორმაცია;

- ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება შეფასებული და განხილული უნდა იქნას უახლოესი მოსახლის (62 მ) მიმართებაში, ამასთან ხმაურით გამოწვეულ ზემოქმედებაში სკრინინგის განცხადებაში მითითებულია 200 მეტრი, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- ვინაიდან საპროექტო ტერიტრიის საკადასტრო საზღვარი მდ. აჭარისწყლიდან მდებარეობს 8 მეტრში, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მდ. აჭარისწყლის ჰიდროლოგიური მონაცემების შესახებ ინფორმაცია. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე N 440 დადგენილებით განსაზღვრული აკრძალვები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს PEW400X600 დანადგარის საპასპორტო მონაცემები;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული სურათები არ არის აღქმადი შესაბამისად ზემოაღნიშნული საჭიროებს განახლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით საქმიანობაზე იმსჯელებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით სრულყოფილი სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე